# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 113

„15" აპრილი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, იაკობ ნიკოლაძის ქუჩის I ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწე კოტე მახარაძის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) მთაწმინდის რაიონში, იაკობ ნიკოლაძის ქუჩის I ჩიხს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწე კოტე მახარაძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X-481,899.863
Y-4,617,799.509
კოტე მახარაძის ქ.
X-481,965.083
Y-4,617,744.211
X-481,944.710
Y-4,617,721.060